განკარგულება:**g-81. 81230802**
თარიღი:**21/03/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №21

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვ. ცაგერში, სოფ. ორბელში, სოფ. გაგულეჩში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების განთავსების ადგილის გამოყოფის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ 21-ე მუხლის და საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1.

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვ. ცაგერში, სოფ. ორბელში, სოფ. გაგულეჩში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების განთავსების ადგილის გამოყოფის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №79 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვ. ცაგერში და სოფ. ორბელში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების განთავსების ადგილის გამოყოფის შესახებ.“

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,თანხმობა მიეცეს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს სოფ. ქვ. ცაგერში (ს/კ 89.02.23.070, 20000.00კვ.მ) და სოფ. ორბელში (ს/კ 89.04.27.190 2000.00კვ.მ) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების განთავსების ადგილის გამოყოფაზე.

მუხლი 2.

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე